

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზღვის ბიოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიოლოგიის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი: სასწავლო კურსები - ძირითადი სპეციალობა major – 168 კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსები – 12 კრედიტი, დამატებითი minor სპეციალობა/ან არჩევითი კურსები 60 კრედიტი (1 კრედიტის მოცულობა – 25 საათი)
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>სტუდენტებს მისცეს ფართო თეორიული ცოდნა ზღვის ბიოლოგიის ძირითად საკითხებში, როგორცაა: შავი ზღვის საქართველოს სანაპირო აკვატორიისა და შიდა წყალსატევების ფაუნისტური მრავალფეროვნება, მათი სისტემატიკური თავისებურებები და ეკოლოგიური ჯგუფები; კერძოდ, თევზთა მარაგის, იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი თევზთა სახეობების ბიოლოგიისა და ეკოლოგიის საკითხების შესწავლა; შავი ზღვის ცოცხალ ორგანიზმთა დღევანდელი მდგომარეობის გაცნობა, პროდუქტიული ჰიდრობიონტების – პლანქტონური, ბენტოსური ორგანიზმებისა და იქთიოფაუნის შესახებ საფუძვლიანი თეორიული ცოდნის მიღება; თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების–მოლუსკების, კიბოსნაირების, საკვები წყალმცენარეების კულტივირების საკითხების შესწავლა ექსტენსიურ და ინტენსიურ პირობებში; წყლის ეკოსისტემებში პოპულაციის არსებობისა და მისი დინამიკის პრინციპების გაცნობა; თევზის მეურნეობის დაგეგმარებისა და მართვის შესახებ ცოდნის შექმნა; ეკოლოგიური მონიტორინგის, ექსპერტიზის, პროგნოზირების, სამართლისა და მენეჯმენტის, კონკრეტული ეკოლოგიური პროექტებისა და ამოცანების გადაწყვეტის უნარის შექმნა.</p>
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	<p>შეიძენს ფართო ცოდნას ზღვის ბიოლოგიის ძირითად საკითხებში; გაეცნობა შავი ზღვის დღევანდელ მდგომარეობას: თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების–მოლუსკების, კიბოსნაირების, საკვები წყალმცენარეების კულტივირების საკითხებს ექსტენსიურ და ინტენსიურ პირობებში; წყლის ეკოსისტემებში პოპულაციის არსებობისა და მისი დინამიკის პრინციპებს; შეიძენს ცოდნას თევზის მეურნეობის დაგეგმარებისა და მართვის შესახებ;</p> <p>შეძლებს თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში. დაეუფლება შავი ზღვის აუზის ჰიდროფაუნისა და იქთიოფაუნის, შიდა წყალსატევების ფაუნისტური მრავალფეროვნების კვლევის მეთოდებს; შეძლებს ზღვისა და წყალსატევების ცოცხალ ორგანიზმთა მრავალფეროვნების შეფასებას სხვადასხვა დონეზე, სახეობათა სისტემატიკური და კონსერვაციული სტატუსის განსაზღვრას, სახეობებზე მოქმედი საფრთხეების იდენტიფიცირებას და კონსერვაციული ქმედებების დანერგვას; შეძლებს წყლის ბიორესურსების გამოყენებას ადამიანის სამეურნეო საქმიანობაში; შეძლებს წყლის ეკოსისტემებზე გარემოს აბიოტური და ბიოტური ფაქტორების ზემოქმედების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შეფასებას;</p> <p>შეძლებს ჰიდრობიონტებისა და იქთიოფაუნის მრავალფეროვნების მიზეზების გაანალიზებას და სათანადო დასკვნის გაკეთებას პოპულაციებში მიმდინარე ბიოეკოლოგიური პროცესების კანონზომიერებების შესახებ.</p> <p>შეძლებს მიღებული თეორიული ცოდნის სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაში გამოყენებას, შესაბამისი კვლევითი სამუშაოების დაგეგმვას წინასწარი მითითების შესაბამისად, ანალიზს, კრიტიკულ შეფასებას</p>

	<p>გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის პრინციპებით; ჩამოუყალიბდება რაციონალური ბუნებათსარგებლობის, გარემოს დაცვის, ეკოლოგიური მონიტორინგის, ექსპერტიზის, პროგნოზირების, სამართლისა და მენეჯმენტის განხორციელების უნარი.</p> <p>კურსდამთავრებული მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად შეძლებს დასაქმებას სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში, აკვარიუმებში, დელფინარიუმში, ნაკრძალებში, მუზეუმში, გარემოს დაცვის რესპუბლიკურ და რაიონულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურებში, საბაჟო-საკარანტინო სამსახურებში.</p>																
<p>შეფასების წესი</p>	<p>საბოლოო შეფასება - 100 ქულა. ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში დოქტორანტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და საბოლოო გამოცდის შედეგების ჯამით.</p> <p>საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.</p> <table border="0"> <tr> <td>ECTS-ის შეფასება</td> <td>ქულა</td> </tr> <tr> <td>A – ფრიადი</td> <td>91-100</td> </tr> <tr> <td>B – ძალიან კარგი</td> <td>81-90</td> </tr> <tr> <td>C – კარგი</td> <td>71-80</td> </tr> <tr> <td>D– დამაკმაყოფილებელი</td> <td>61-70</td> </tr> <tr> <td>E – საკმარისი</td> <td>51-60</td> </tr> <tr> <td>FX – ვერ ჩააბარა</td> <td>41-50</td> </tr> <tr> <td>F – ჩაიჭრა</td> <td>0-40</td> </tr> </table>	ECTS-ის შეფასება	ქულა	A – ფრიადი	91-100	B – ძალიან კარგი	81-90	C – კარგი	71-80	D– დამაკმაყოფილებელი	61-70	E – საკმარისი	51-60	FX – ვერ ჩააბარა	41-50	F – ჩაიჭრა	0-40
ECTS-ის შეფასება	ქულა																
A – ფრიადი	91-100																
B – ძალიან კარგი	81-90																
C – კარგი	71-80																
D– დამაკმაყოფილებელი	61-70																
E – საკმარისი	51-60																
FX – ვერ ჩააბარა	41-50																
F – ჩაიჭრა	0-40																
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან დოლიძე – სრული პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი</p> <p>☎ მობ. ტელეფონი: 577783505</p> <p>✉ E-mail: ketodolidze@yahoo.com</p>																